ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37.37221504**
თარიღი:**30/05/2022**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო - ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების (მე-3 რანგის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს) საინფორმაციო - ანალიტიკური მომსახურების საკითხებში გენო ბაბილოძეს დროებით დამატებითი ფუნქციების დაკისრების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 3-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 2-ე პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის და ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლისა და 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების, (მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს)- საინფორმაციო მომსახურების საკითხებში, გენო ბაბილოძეს, თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან გათავისუფლების გარეშე, დამატებით დაეკისროს, ამავე საკრებულოს საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მე-4 რანგის უმცროსი სპეცილისტის ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში, თანამდებობისათვის დადგენილი ფუნქციების შესრულება, 2022 წლის 1 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე. მას თანამდებობრივ სარგოსთან ერთად, დამატებითი ფუნქციების შესრულების პერიოდში, მიეცეს სახელფასო დანამატი თანამდებობრივი სარგოს 40%-ის ოდენობით.

მუხლი 2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსოსაბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი